ტფილისი [stamp]


**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ს. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი



დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში

ნაკვესი

ანუ

მოსწრებული სიტყვანი ძველთა და ახალთა ქართველთანი.

ფასი ერთი აბაზი.

ტფილისს გარეშე ეს წიგნი ისყიდება

გორში—ს. მგალობლიშვილთან. ‖ ხონში—ნ. წერეთლის მაღაზიაში.

ქუთაისს—ვ. ჭილაძის მაღაზიაში. ‖ ბათუმში—მ. ნათაძესთან.


„ქართულის დრამატიულის საზოგადოების“ მმართველობა სთხოვს საზოგადოების წევრებს, მობრძანდნენ **საზოგადოების წლიურს კრებაზე, კვირას, 4 ღვინობისთთვეს, დილის თერთმეტს საათზე,** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში, რათა მოისმინონ წარსულის წლის ანგარიში, მომავალის წლის სავარაუდო ანგარიში და აირჩიონ ახალი წევრები.

ტფილისი, 2 ოქტომბერი

საფრანგეთისა და გერმანიის საზღვარზე გერმანელი ტყის მცველების მიერ საფრანგეთის ჯარის კაცის მოკვლამ და აფიცრის დაჭრამ პირველ ხანებში ცხარე ბაასი გამოიწვია საფრანგეთის მწერლობაში; ამ სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური მიწერ-მოწერა გაიმართა, უნდა გამოეძიათ მიზეზები ამ უბედურის შემთხვევისა. ეხლა-კი ორივე მმართებლობა თან-და-თან შოშმანდება და მზად არის ჩასთვალოს იგი უბედური გარემოება უბრალო შემთხვევად, და მწერლობაც უფრო თავ-შეკავებით ლაპარაკობს ამაზე. გერმანია ამბობს, რომ მზად არის დააკმაყოფილოს საფრანგეთი, თუ რომ მასნი მოხელენი ბრალეულნი აღმოჩნდნენ. როგორც იწერებოდნენ, გერმანიის მმართებლობამ პენსია დაუნიშნა მოკლულის ჯარის კაცის ოჯახობასაო.

უეჭველია ეს იმას გვეუბნება, რომ ამ საქმესაც დაივიწყებს როგორც საფრანგეთის მმართებლობა, ისე გერმანიისა, მაგრამ მას არ დაივიწყებს საფრანგეთის ერი; პირიქით, კიდევ უფრო გაუძლიერდება მძულვარება გერმანიისადმი. გერმანიის მმართებლობა, შესაძლოა, უკველს ღონის-ძიებას იხმაროს, რათა შემდეგისათვის მაინც აიცილოს თავიდამ ამ გვარი სახიფათო უსიამოვნება, მაგრამ ერის გრძნობის შეკავება მეტად ძნელი საქმეა ისეთ მძლავრ სახელმწიფოსათვისაც-კი, როგორიც გერმანიაა. ეს „შემთხვევები“ უნდა მიეწეროს არა მოსაზღვრე მოხელეთა გაუფრთხილებლობას და უზრუნველობას, არამედ იმ მძულვარებას, მტრულს გრძნობას, რომელიც ღვივის გერმანელთ გულში საფრანგეთის წინააღმდეგ,—იმ შიშს, რომელსაც გერმანელი ერი ჰგრძნობს, როცა მოაგონდება ელზას-ლოტრენი და საფრანგეთის განზრახვანი. აი სწორედ ეს მძულვარება, მტრული გრძნობა და შიში ძნელად შესაკავებელი. თვითონვე იმ სახელმწიფოთა მმართებლობამ რაც უნდა ღონის-ძიება იხმაროს, მაინც ძნელად საფიქრებელია, რომ იმ გვარი უბედური შემთხვევა, მოსაზღვრეთა შეტაკება, შემდეგაც არ მოხდეს, და რაც უფრო ხშირი იქნება ამ გვარი შემთხვევა, მით უფრო გაძლიერდება ამ ერთა შორის მძულვარება.

ეს საუბარი იმისთვის გავუმართეთ მკითხველს, რომ გვეჩვენებინა, თუ რაოდენად ძლიერდება თან-და-თან მძულვარება ორ დაწინაურებულ, განათლებულ ერთა შორის; როგორ იზრდება ის მძულვარება, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ორ დიდებულ ერთა მერმისი და მასასადამე მთელის ევროპისაც. მძულვარებამ უნდა გადასწყვიტოს, ვამბობთ ჩვენ, და არა სიყვარულმა, ერთი-ერთმანერთისადმი პატივის-ცემამ, ძმობამ და ერთობამ. განა სამწუხარო არ არის, რომ ამ დროს, როცა კაცთ-მოყვარეობას კიდევ უფრო უნდა შეესხა ფრთები და თვისის სხივებით გაეთბო ადამიანთა და ერთა გრძნობა-გონება, ამ დროს ყველანი მძულვარებასა და დაუნდობელობაზე ვლაპარაკობთ, ამ დროს ყველანი მოველით უძლიერეს ერთა შეტაკებას; ყველანი შევყურებთ იმ უთანხმოებას, რომელიც მათ შორის არსებობს და ვცდილობთ გამოვიცნოთ, თუ რითი დასრულდება იგი უთანხმოება, მძულვარება? სწორედ სამწუხაროა, რომ სიყვარულის მაგიერ ერთა შორის ღვივის მტრული გრძნობა, რომელიც წარღვნას ემუქრება განათლებას, ერთობას და ადამიანთა წინ-მსვლელობას.

საუკეთესო ფილოსოფოსნი, მეცნიერნი და მწერალნი სულ იმასა ჰქადაგებენ, რომ სიყვარული ერთა შორის მკვიდრი საძირკველია ერთა და ადამიანთა ბედნიერებისა, წარმატებისაო; იმათ მოძღვრებისა და კაცობრიობის გამოცდილების წყალობით, მართალია, კაცთმოყვარეობა გაძლიერდა, მაგრამ იმოდენად-კი არა, რომ სრულიად აღმოეფხვრა ძველივე ჩანერგული და ფესვ-გადგმული მტრობა და დაუნდობლობა. გამოჩენილი ჰუმბოლდტი გვეუბნება, რომ ყველა ერნი ერთ ნაირად პატიოსანნი არიან, ყველა ადამიანები თანასწორნი არიან, თუ მათ სიმართლის, ჭეშმარიტების თვალით გადავხედავთო. ეს ჭეშმარიტება იმოდენად სამართლიანია, რომ მასზე ეჭვის აღება შეუძლებელი საქმეა. სიტყვით მრავალს სწამს იგი მცნება დიდებულის მეცნიერისა, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, მაშინ თვით დაწინაურებულნი ერნი და ადამიანნიც ივიწყებენ იმ მოძღვრებას და უფრო შურის-ძიებასა და მტრობას მისდევენ, ვიდრე სიყვარულსა და ძმობასა. ჯერ კიდევ თითქო ვერ დარწმუნებულან, რომ შურის-ძიება და მტრობაა მიზეზი ყველა იმ უბედურებათა, რომელიც კაცობრიობის ცხოვრებას ძაბავს და გზა-ხედ ედობება ყოველს ჭეშმარიტს, პატიოსანს აზრს, განზრახვას, საქმეს.

დღესაც, როდესაც სახელმწიფოთა შორის განწყობილება ძალიან გაძნელებულია, როცა ყველანი გრძნობენ ამ გარემოებას, დღესაც ვერ დაუგდიათ ერთი-მეორისადმი მძულვარება, ვერ შეუთვისებიათ ის აზრი, რომ სიყვარულია უმთავრესი სახსარი ადამიანთა კეთილ-დღეობისა, წარმატებისა; ის ერნი, რომელნიც მოვალენი არიან სხვებს გზას უჩვენებდნენ და უნათებდნენ, ისე იქცევიან, თითქო მოწადინებულნი იყვნენ კაცობრიობის წარმატებას გზაზედ გადაეღობონ და კაცობრიობის ნაამაგარი და იმის გენიის ნაწარმოები სრულიად წალეკონ.

ა. ს—ი

# ფელეტონი

## ბათუმის ამბები

„ივერიის“ მკითხველებმა კარგად იციან, რომ ბათუმის მაზრის მკვიდრთა შორის ხელ-ახლად ლაპარაკი ასტყდა ოსმალეთში გადასახლების შესახებ საითაც-კი მიიხედავთ, მეტადრე ლივანაში (ართვინის ოლქაში), ყველა ამაზე ლაპარაკობს, სჯის, ჭორიკანაობს, მითქმა-მოთქმასა და მოუსვენრობაშია. ხალხს სულის სიმშვიდე დაუკარგავს და ბოდავს, თითქო სიზმარში არისო.

ამისი მიზეზი ის არის, რომ ვერ გაუგიათ ახალი წესი ჯარის გამოყვანისა. აქედამ იბადება ჭორები და ამ ჭორების გამო ლივანიდამ, მეტადრე მურღულის ხეობიდამ, რადგანაც ოსმალოს საზღვარი ახლოა, იპარებიან ღამ-ღამე თითოობით. მთავრობა ამ გადასვლას, რასაკვირველია, უშლის და საზღვრის ყარაულებიცა ფრთხილობენ, მაგრამ მაინც უსხლტებიან ბნელს ღამეში.

ამ გაპარვაზე და გადასახლებაზე ზოგჯერ ისეთი ჭორებიც ისმის, რომ დასაჯერებელი არ არის. აი, მაგალითად, ერთი ამბავი გადმომცეს, რომელიც ადამიანს თმას ყალხზე აუყენებს და რომელიც მოგონებული და ტყუილი-კი გამოდგა. მაინც მეტი არ იქნება, მკითხველმა იცოდეს ეს ტყუილი ამბავი, რომ მიხვდეს, სადამდის მიაღწევს ხალხის სულის მდგომარეობა, როდესაც ამისთანა ჭორები იბადება, როცა ხალხს სჯერა ეს ჭორები.

მართალია, დედაკაცები მეტის-მეტად ჭირვეულობდნენ პირველ ხანებში, როდესაც ბათუმის სანჯაყი შემოუერთდა რუსეთსა, და ბევრის კაცის გადასახლების მიზეზნი იყვნენ; იქნება ეხლაც ჭირვეულობდნენ; მაგრამ დედამ რომ შვილი დასაკლავად გაიმეტოს, ეს ბუნების წინააღმდეგია. მადლობა ღმერთს, რომ ტყუილი გამოდგა ზემოხსენებული ამბავი. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამისთანა ამბავი, როგორცა ვთქვი, სჯერათ და ლაპარაკობენ გაფითრებულის სახით. მართალი სთქვა ერთმა დარბაისელმა აქაურმა კაცმა: ეს ხალხი სწორედ ცხოვებით (ცხელებით) ავადმყოფსა ჰგავსო, რომელსაც ძარღვები საშინლად დასუსტებია, ჭკუაც დაჰკარგვია, მსჯელობაც, ფიქრიც და ყველაფერს თავისებურად სჯის, თავისებურად ასხვაფერებს; ყოველ ნახულს, ან გაგონილს ამბავს სიზმარში ნახულსავით ხსნისო. აი, მაგალითად, კიდევ ერთი გავრცელებული ჭორი. სოფელ მარადიდში სკოლაა რამდენიმე წელიწადი და მასწავლებელი ერთია; ამასთან მუსულმანის სალმრთო რჯულის მასწავლებლად ხოჯაა. ამ სკოლაზე ხმა დაუგდიათ, ყმაწვილებს ხუცესები ასწავლიანო. სკოლაში ერთი ქრისტიანი ყმაწვილი არც-კია, რომ ხუცესს ფეხი შეედგა. აქამდინ ხალხში ასე ჰგონიათ, რომ რაკი სკოლაშია ყმაწვილი, უეჭველია ხუცესიც უნდა იყვეს მასწავლებელიო, და არ იციან, რომ რუსეთის სახელმწიფოში მუსულმანი ყმაწვილები, თუნდა ქრისტიანებთან ერთად სწავლობდნენ, როცა ხუცესი ასწავლის ქრისტიან ყმაწვილებს, გარედ გამოდიან და ქრისტიანის რჯულის სწავლას ყურს არ უგდებენ. აქამომდე მრავალმა აქაურმა სოფლელმა არ იცის, რომ ყველგან მუსულმანი თავის რჯულზე სწავლობს; რომ საქართველოში ბევრგან ჯამეც (მეჩითი) არსებობს.

როგორცა ვთქვით, ჭორების მიზეზი სულ უცოდინარობა და გაუგებრობაა; ამ მიზეზის გამო დიდ-ძალი ხალხი გავიდა ბერლინის შეკრულობის ვადის გასვლამდე—1878-დამ 1881 წლამდე, სახელდობრ ქვედა აჭარიდამ, მაჭახლიდამ, მურღულიდამ და სხვა ადგილებიდამაც თითქმის განახევრდა ხალხი. ვადის გასვლამდე ზოგი დაბრუნდა, მაგრამ მომეტებული ნაწილი გასულებისა დარჩა ოსმალეთში, ეხლა დაბინავებულია ჭანეთში, ესე იგი ტრაპიზონს აქეთ და იქით შავის ზღვის ნაპირებზე, და აგრეთვე ბრუსსას ახლო-მახლო ადგილებში; ყველგან ჯგუფ-ჯგუფად დასახლებულნი. გადასახლებულთა ცხოვრების შესახებ კარგი ამბავი არაფერი მოგვდის. ოსმალეთში კარგი ადგილები წინათვე დაჭერილი იყო და ვერა დაანებებდა გადასულებსა. უმეტესს ნაწილს უტყეო ადგილები შეხვდათ და რადგანაც ცხელი ადგილები იყო, ჰაერმა დასცადა გრილს მთას შეჩვეული ხალხი ამ მიზეზისა და აგრეთვე უცხო ადგილას მოუწყობელის ცხოვრებისა, საჭმელ-სასმლის ნაკლებობისა და სიღარიბის გამო მრავალი გამოესალმა სიცოცხლესა. გასულ მაჭახლელებზე ამბობდნენ, ნახევრის ნახევარი აღარ გადარჩაო. სხვა ადგილებიდამ გასულებზედაც ეს ამბავი მოდიოდა და ეხლაც მოდის. ერთის სოფლიდამ შვიდი სული ოჯახი გაიყვანა ერთმა მოსახლემ, შვიდივე ამოუწყდა და მარტო ხელი კაცი დაბრუნდა სრულიად გაუბედურებული. გასულნი დღესაც სწერენ თავის ნათესავებს და ნაცნობებს აქ დარჩენილებს, რატომ არ დაგვებით მანდა, რატომ არ მოგვკალით და რად გამოგვიშვით აქეთაო. შეჰნატრიან აქაურობას და იწერებიან: მანდაურს ფოთოლს ვეყურებანეთო (ვენაცვალეთო) წუხილი და ვაება სამშობლო ქვეყნის დატოვებისა მოდის ამ შავის ზღვის პირებიდამ; გაკერპებულ კაცებს-კი თითქოს ყური მოუყრუებიათ და გაიძახიან, ოსმალეთში კარგა ცხოვრებენო. მაგრამ ვაი იმ ცხოვრებას; მეზობლებისაგანაც თურმე მოსვენება არა აქვთ. ამას წინად შერევიან ჩვენ მოძმე გადასახლებულებს და, ამბობენ, მთელი სოფელი ამოუქლეტიათ, დაუხოციათ დიდით პატარამდის, კაცებიც, ქალებიც და ყმაწვილებიც და მერე სახლებიც აუკლიათ. აი რა ყოფაში არიან თურმე ოსმალეთში ჩვენი მუსულმანი გურჯები და აქ კი ამ ამბებს უყურადღებოდ სტოვებენ და ასე ჰგონიათ, ჩვენი მუჰაჯირები (გასულები) კარგა ცხოვრებენო.

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ამ უკანასკნელს ხანში ორასამდე მოსახლე ითვლება გასული. მურღულის ხეობიდამ გასულნი არიან სოფელ ბერთადამ, გვერდადამ და ხატილიდამ. ამ უკანასკნელ სოფლიდამ (რომელშიაც ითვლება 200 მოსახლე და სამი სოფელი: მუხნარა, სტეფანიძე და საკუთრად ხატილა) მეოთხედი გასულა საზღვარზე მარიამობისთვის დამდეგს. მუხნარა და სტეფანიძე სულ დაცლილა. ამათ გარდა მურღულიდამ გასვლას აპირებს თურმე სოფელი გვერდა.

თუმცა დღეს ასეთი სამწუხარო ამბები ისმის, მაინც ზოგ-ზოგს იმედი აქვს, რომ ტყუილი ლაპარაკი ხალხში მო-

# ახალი ამბავი

*** გუშინ სვეტი-ცხოვლობას მშვენიერი ამინდი იყო, თუმცა ხალხი ცოტა შეიკრიბა მცხეთაში. ტფილისის ვაგზალზე უფრო ბლომად გამოსულიყვნენ საყურებლად, სადგურის ახლო-მახლო ცარიელ ადგილს ვეღარ იპოვნიდით. რიგი მიდიოდა და რიგი მოდიოდა ხალხი, ზოგი ცხენ-მავალითი, ზოგი ფეხით და ზოგიც ფაიტონით. მეფაიტონეებმა ასწიეს ფასი და მანათზე ნაკლებ არ მიჰყავდათ ვაგზლამდე. თუმცა მგზავრი არ იყო ბევრი, მაგრამ რკინი-გზის გამგეობამ მაინც ვერ მოახერხა, რომ ვიწროობა არა ყოფილიყო. მეტადრე მცხეთიდამ დაბრუნებაზე ხალხი თავ-პირს მიიმტვრევდა ვაგონებში. იქამდის გახელდნენ ვიღაც მგზავრნი, რომ ვაგონის ფანჯრიდამ გადმოაგდეს ერთი მთვრალი კაცი მცხეთის სადგურის წინა და გაუტეხეს თავი. ეს იყო საღამო ხანზე. ჯიბგირებმაც ამ დროს მოიწადინეს ხელის მოთბობა. ამის გულისათვის უნდოდათ ფარნები გაექროთ და ბნელაში დაერიჟნათ ხელი მთვრალებისათვის. უცებ დაუშინეს ქვა ფარნებს, მაგრამ ჟანდარმების მეცადინეობამ ლაგამი ამოსდო ჯიბგირების საძაგელ განზრახვას.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნ არ. ქუთათელაძემ გადმოსთარგმნა ქართულად საყმაწვილო წიგნი — „საოცარი ცხოველები“ რუსულის ენიდამა და იბეჭდება პატარა წიგნად.

*** კვირას დანიშნულია კრება დრამატიულ საზოგადოებისა სადგილ-მამულო ბანკის შენობაში.

*** მიხეილის ქუჩაზედ, „შვეიცარიის“ ბალთან, გუშინ გატყდა ვაგონი, რომელიც ეხლაც იქ გადაბრუნებული გდია.

*** გუშინ საღამოს, ცხრა საათის ნახევარზე, რიყეზე ცხენ-მავალას ვაგონის წინ მიდიოდა ფაიტონი. ვაგონი გააჩქარეს, ფაიტონი ლიანდაგზე მიდიოდა და ვაგონს არ მოერიდა. ცხენ-მავალა შეეჯახათა ფაიტონს, გამოუდგა და კინაღამ არ დაეჯახა უკანიდამ. მეფაიტონეს შეეშინდა ამისი და უცებ გარეკა ცხენები. წინ ორი მგზავრი მიდიოდა. ფაიტონმა ორთავეს ზედ გადაუარა. ფაიტონი გაიქცა, ხოლო გულ-შეღონებული მგზავრები მოაბრუნა დამსწრე ხალხმა.

*** ცხენ-მავალაზე ბევრი უწესოებაა, ბევრსაც უკიჟინებენ, მაგრამ წარმატების ნიშან-წყალი ჯერაც არ ეტყობა. სხვათა შორის, ძალიან უჩივიან უწმაწურ ლაპარაკს კუჩერებისას, მეტადრე ვარანცოვის ლიანდაგზე. გავლა-გამოვლაში უთუოდ უნდა გამოელაპარაკნენ ქუჩის „ძმა-ბიჭებს“ და მერე ისეთის სიტყვებით, რომ კაცს გული აერევა იმის გაგონებაზე. მგზავრები უშლიან, მაგრამ ვერას გამხდარან. არც ქალისა სცხვენიანთ და არც კაცისა. ზოგჯერ, რაკი ვეღარ გააჩუმებენ ხოლმე იმათ, ქალები ჩამოდიან ვაგონიდამ და ქვევითი სიარულს რჩეობენ.

*** ერწო-თიანეთში პურს ძალიან მდარე გამოსავალი ჰქონია წელსა. ამბობენ, რომ შედარებით წარსულ წლის მოსავალთან მეოთხედი ძლივს გამოდისო.

*** გორის მაზრა: სოფ. ურბნისი წელიწადში იხდის თერთმეტ თუმანს სკოლის ფულსა. ეს სკოლა არის სოფ. რუისში და ურბნისიდამ ერთი ყმაწვილიც არ დაიარება.

*** იქიდამვე: ურბნისში დიდი ტაძარია ძველებური, აშენებული პირველ-მოწამის წმ. სტეფანეს სახელობაზე. ამ ტაძარს თაღი გარღვეული აქვს და საშიშია არ დაინგრას ეს უძველესი ნაშთი ჩვენის ისტორიულის ცხოვრებისა. იმის განახლებას მოუნდება სულ სამასი თუმანი. ამის თაობაზე ურბნისში იყო ამ წინაზე ბ-ნი არხიტექტორი გამოგზავნილი უწმინდესის სინოდის კანტორის მიერ.

*** გაზ. „Новое Время“ გვაცნობებს: კახეთში იყიდება უშველებელ სიდიდის ვენახი ქართველთა მეფეებისა, რომელსაცა ჰქვიან „კათოლიკოზის სახელმწიფო ზვარი“. თავისის მოწყობილობით და სხვა-და-სხვა ჯიშის ხეხილებისა თუ ვაზის სიმდიდრით ამ ვენახს უჭირავს პირველი ადგილი შემდეგ თავადის ი. ი. მუხრან-ბატონის დიდად ცნობილის ბაღებისა. თუმცა ფასი დიდი გამოუცხადებიათ, მაგრამ მსურველნი ბევრნი გამოჩენილან. მათ შორის, როგორც შეგვატყობინეს, ამ ვენახის შესყიდვა სწადიან ერთს ფრანგულს უსახელო საზოგადოებას, რომელმაც უკანასკნელს ხანებში ბევრი კაი მამულები შეიძინა ამიერ-კავკასიაში. მაგრამ, უეჭველია, ქართველთა მეფეების ვენახს შეისყიდის რუსეთის სამეფო სასახლე, რომელმაც ამ წინაზე შეიძინა დიდი მამული თავად ჭავჭავაძეებისა, თელავს ახლოვე.

## გლეხური ლექსები

(გაგონილი და ჩაწერილი სოფ. ხიზაბავრაში (ჯავახეთში) იაკობ ლაზარაშვილის მიერ)

წადი წიგნო პირ-მზესთანა,
პირ-მზემ მთვარეს წაგიკითხოს;
მომიკითხოს, მოასხენე,
ვარ ობოლი გამიკითხოს,
ამ ქვეყანას, შენგნით მკვდარსა,
მე გულ-ხელი დამკრიფოს.

—

ქალი წავიდა წყალზედა,
თან გაადევნა თვალიო;
აავსო კოკა კუტალი,
შიგ გაუყარა თმანიო.
მოდის და თან მოტუტუნებს:
ღმერთო, მომიკალ ქმარიო;
არ მომცა კოკის სკიდი,
სულ დამაწყვიტა თმანიო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ხიდისთავი (გორის მაზრა), 27 სექტემბერს. ერთმანეთის მტრობა, შური, გაუტანლობა, მოგვეცა ღვთის წყალობა, ჩვენში ხშირია. ეს არის მიზეზი, რომ სოფლისათვის არავინა ზრუნავს. განა არ შეუძლიან ამოდენა სოფელს ერთის სკოლის გაკეთება?! შესაბრალისნი არ არიან ჩვენი ბავშვები?! რას გვეტყვიან ისინი, როდესაც კაცები შეიქმნებიან; არ გვისაყვედურებენ, თავის დროზედ, რატომ წიგნი არ გვასწავლეთო? არ უნდა გვეთაკილებოდეს, რომ პატარა სოფლებშიაც სკოლებია და ჩვენ სოფელში-კი, სადაც ორას კომლამდე მცხოვრებია, არავითარი სასწავლებელი არ არსებობს!?

სადაც მიხვალ, ყველგან უსიამოვნო ამბებს უნდა შეეყარო. აბა, რა მომაფიქრებინებდა, რომ გორს ახლო სოფელში, ისეთს სოფელში, როგორიც არის ხიდისთავი, არაფერი სასიამოვნო საქმე არა დამხვდებოდა-რა. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამ სოფელში არც სკოლაა, არც საზოგადო დუქანი, არც სასოფლო ბანკია და არც არაფერი... მაგრამ არა, დამავიწყდა, როგორ არაფერი, აქ ყოველ ზაფხულს მრავლად იყრება ნასწავლი და განათლებული ხალხი, სხვადა-სხვა ქალაქებიდამ მოსულნი სააგარაკოდ; აქ იყრება ზაფხულობითვე ისეთი ახალგაზრდა ყმაწვილ-კაცობა, რომელიც ნამდვილად გულ-შემატკივარია სოფლისა და საზოგადო სიკეთე სურს, გულითა სურს, მაგრამ... მაგრამ ვერავინ ვერაფერს-კი ვერ ახერხებს სასოფლო საქმის სასიკეთოდ. ასე მიდის დრო და ხელს არავინ ანძრევს, თითქო იმათი წმინდა მოვალეობა არ იყოს ქვა-ქვაზედ მაინც დადონ, როცა ეს საჭიროა და სასარგებლო სოფლისათვის...

სკოლასა და სხვა სასიკეთო სასოფლო საქმეს ვინა ჩივის, ნეტავი ავ-კაცობა და ბოროტ-მოქმედება არა ვრცელდებოდეს და ღრმად არ იდგამდეს აქ ფესვებს. თუ ასე გასტანა და ამ სენს არ მოევლო, პატარა ხანს უკან, ვგონებ, სოფლადმაც ვერა-რა გვიშველის-რა.

არ იქმნა, ვერა გვეშველა-რა, ვერ მოვუღეთ ბოლო ქურდობას და ავ-კაცობას ამ ჩვენს სოფელში. არ გეგონოთ, რომ ქურდობის და ავ-კაცობის მოქმედნი სხვაგნებულნი იყვნენ; თვით სოფელშივე არიან ავ-ხელობის მიმდევარნი. ასე შეაშინეს ქურდებმა ხალხი, რომ ღამ-ღამობით სოფელს 10—11 კაცი ჰყარაულობს. მიუხედავად ამისა, ქურდები თავისას არ იშლიან და სოფელს მოსვენებას არ აძლევენ. აი, თუ გნებავთ, რამდენიმე მაგალითი ქურდობისა. ამ ცოტა ხნის წინად აქაურმა გლეხმა მოჰპარა აქაურსავე გლეხს უღელი ხარი. ეს მოპარული უღელი ხარი ქურდს სოფელ ქარელში გაეყიდნა. კიდევ კარგი, რომ პატრონმა ქურდი მალე იპოვნა და თავისი უღელი ხარი წაიყვანა, თორემ მთლად დაეღუპებოდა საწყალი, რადგანაც იმ უღელის ხარის მეტი არა ჰყავანდა-რა და ის იყო იმის ცხოვრება.

კიდევ ამას წინად ღამის რაინდებმა მოჰპარეს ერთს აქაურს მცხოვრებელს, ამბ—შვილს, 80 მანეთად ღირებული ცხენი თავლიდგან, რომელიც იმის სახლის ახლოს არის. ამბ—შვილმა ცხენი თუმცა ბევრი ეძება, მაგრამ ვეღარ იპოვნა. ამ ორის კვირის წინად აქაურს გლეხს ვენახებში ორი გოდორი ყურძენი მოეპარათ და გორს გასასყიდად წაეღოთ, მაგრამ გზაზედ სოფლის მეველე ტყ—მე შეჰხვედრიათ და ეს ნაქურდალი ყურძენი წაერთმია. თავად წელს ასე ცოტა ყურძენი გვასხია ვენახებში და რაღა ქურდებისაგან გახანაგება გვინდა!

საკვირველია, რომ ავ-კაცობას არ იშლის ზოგიერთი ის გაყბატონიც, რო-

იშლება, ხალხი დაწყნარდება და ცოტაოდე გასულთ გარდა ყველანი დამშვიდდებიან, როდესაც ნამდვილს ამბავს შეიტყობენ ჯარის ბეგარის საქმისასო. ღმერთმა ინებოს და ხალხს გასვლის ფიქრი მოეშალოს და არ დაიღუპოს, როგორც დაიღუპნენ ბევრნი გასულები.

იქნება რომ მართლა ხალხი დამშვიდდეს და იმედი გაგვიმართლდეს, მეტადრე მას შემდეგ, რაც ქუთაისის გუბერნატორმა ქობულეთის ხეობა ჩამოიარა. მარიამობისთვის ჩვიდმეტში იგი ჩამოვიდა ბათომს და აქედამ ართვინს გაემგზავრა; ართვინიდამ დაბრუნებაზე ქობულეთის პირად რამდენსამე ადგილას (ბორჩხას, მარადიდს, აჭარის წყალთან და სხვაგან) ხალხი იყო მოწვეული, რომ მოესმინა გუბერნატორის ლაპარაკი და თვითონაც მოეხსენებინა თავისი საჩივარი ანუ სათხოვარი. ხალხი ჩამოვიდა ხეობებიდამ ბ-ნ გროსმანის დასახვედრად.

ყველგან გუბერნატორმა აუხსნა ახალი წესი ჯარის ბეგარის შესახებ, უთხრა, ტყუილად ნუ შიშობთ, ჯარში კაცს არ გაიყვანენო, მხოლოდ ჯარის ბეგარად ფულს გადაიხდით და ეს ფულად გადასახადიც ბევრი არ არის ბათომის სანჯაყზეო. თანასწორად რომ გაყოთ ეს ფული, თითო სულზე მანეთი არც-კი მოვა. ბათუმის სანჯაყში (ეხლანდელს ორ მაზრაში, ბათომისა და ართვინისაში) ამ ჟამად ითვლება ოთხმოც-და-ათი ათასი სული დედაკაცი და მამაკაცი; ყმაწვილებით და ოჯახობით რომ ვიანგარიშოთ, თვრამეტი ათასი მოსახლე მოდის. აქ იმასაც დავუმატებთ, რომ თუ ეს ხარჯი, თითო სოფელს რაც შეხვდება, სოფელმა თანასწორეთ არ გაჰყო და შეძლების გვარად გაიწერა, მაშინ ღარიბ გლეხს მანეთზე უფრო ნაკლები შეხვდება.

როდესაც ბატონმა გუბერნატორმა ეს აუხსნა, ხალხი მიხვდა, რომ აქამდის ტყუილი ჭორები ისმოდა და ეტყობოდა, რომ კმაყოფილი შეიქნა ამ ამბითა. ამის შემდეგ ბატონმა გროსმანმა ოსმალოში გადასახლების თაობაზე ილაპარაკა და ბეჯითად გადაწყვეტილი სიტყვა უთხრა, რომ გადასახლების ვადა შესრულდაო. ვინც დარჩა, ახლა გადასვლის ნება არა აქვთ და თუ ვინმე მოისურვებს გაპარვას, იმას გზას შეუკრავენ საზღვარზე დაყენებული ყარაულები, დაიჭერენ და კანონიერი სასჯელი გადახდებათო. ვისაც-კი ოსმალეთში სავაჭროდ ან ნათესავების სანახავად წასვლა უნდა, ყველას ნება აქვს წავიდეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ცოლ-შვილი, ოჯახი შინ დარჩეს მამულის მოსავლელადა, და ერთიანად ოჯახით წასვლა-კი არ შეიძლებაო. ხალხს ძალიან მოსწონებია ბ-ნის გუბერნატორის საუბარი და მადლობაც მოუხსენებია.

ღმერთმა ინებოს, რომ პირად გამოთქმულს კმაყოფილებასთან გულიც დაუმშვიდდეთ. მაინც საფიქრებელია ამ გადასვლის საქმე, იმიტომ-რომ, როგორცა ვთქვით, მიყრუებულ სოფლებში ბევრჯელ მართალი სიტყვა ვერ მიაღწევს ხოლმე.

ამას გარდა ბ-ნმა გუბერნატორმა ჰკითხა თურმე იმ სახელმწიფო გადასახადის შესახებ, რომელსაც აქამომდე მოსავლით—სიმინდით იხდიდნენ—(აშარი), როგორ გინდათ გადიხადოთ, ისევ მოსავლით თუ ფულადაო? ამბობენ, ხალხმა ფულად გადახდა ირჩიაო. ამისათვის გამოანგარიშებულია ხუთის წლის შემოსავლის პირი და მის კვალობაზე რაც თითო წლის შემოსავლის ზომა მოვა, იმდენს გადიხდიან. ეს სახელმწიფო გადასახადი ფულად დაიწყება ორიოდე წლის შემდეგ. მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, ზოგან აქამდისაც ფულად რჩეობდიენ გადახდასა და სიმინდის ნაცვლად ფულად შემოჰქონდათო.

საზოგადოდ გუბერნატორის მოსვლამ როგორც ბათუმსა, აგრეთვე მის ოლქებში კარგი ზედ-მოქმედება მოახდინა. გუბერნატორმა ყურადღება მიაქცია ბათუმის საადგილ-მამულო კომისიასაც, რომელიც ზანტად მუშაობს დღევანდლამდე. ამას გარდა ზოგი ცვლილება მოახდინა პოლიციაში.

დასასრულ, თვით ქალაქსაც უნდა მივხედოთ. ქალაქი კარგა გადიდდა და შენობები ისე მოემატა, რომ ქალაქი ერთი ხუთად გადიქცა. ამის გამო სახლების ქირამ იკლო. მას შემდეგ, რაც პორტო-ფრანკო მოიშალა, ვაჭრობა შემცირდა და დუქნების ფასმაც დაიწია.

ამ ზაფხულს წერა-კითხვის საზოგადოებამ თავისი სკოლა ახალ შენობაში გადიტანა. შენობა კარგია, მაგრამ ფასი-კი დიდია. პირველ ხანებში ორმოც-და-ათ თუმნად მორიგებია სახლის პატრონი, მერე-კი მოუმატებია და სამოც თუმნად შეჰკვრია, ისიც ორის წლითა. უნდა ვთქვა, რომ სკოლის ახალი სადგური სიძვირის გარდა, დაშორებულია ქალაქის შუა-გულსა. მე მგონია სკოლის კომიტეტი და მასწავლებელი შემცდარი არიან ამ შემთხვევაში.

როგორც შევიტყვეთ, სახელმწიფო სასწავლებელში ამ ჟამად შვიდი ქართველი მუსულმანი სწავლობს და ამდენივე ქართველი ქრისტიანე. ქართველებისათვის ქართულის ენის სწავლა მალე დაიწყება, როდესაც თხუთმეტი მოსწავლე იქნება. ზოგიერთ მშობლებს განზრახვა აქვთ თხოვნა შეიტანონ ქართულის ენის სწავლების შესახებ. ეს კანონიერი თხოვნა, რასაკვირველია, შეწყნარებული იქნება, რადგანაც ამ სასწავლებელში ქართულის ენის მასწავლებლისათვის დანიშნულია ჯამაგირი.

აქაური ვაჭარი გურულები და მეგრელები ჩივიან, რომ ქართულ წირვა-ლოცვისათვის მღვდელი არა გვყავს და მოკლებულნი ვართ ქართულად წირვის მოსმენასაო. აქ ორი მართლ-მადიდებელის ეკკლესიაა. ერთი ბერძნებისა და მეორე ეკკლესია სამხედრო უწყებისა. პირველში ბერძნულად არის წირვა-ლოცვა, მეორეში—რუსულად. მამა ქიქოძე, სამხედრო უწყების მღვდელი, ხანდისხან ქართულად მღვდელ-მოქმედებას რომ გვაღირსებდეს, დიდად დაგვამადლებსო, მეუბნებოდნენ ბათუმელები.

წლევანდელს მოსავალზე ცუდი ამბები მოდის: გვალვისაგან სიმინდი ცუდი მოვიდა, ზოგან ისე გახმა, რომ ცარიელ ღეროებს თუ დავამტვრევთო. მეტად ცუდი მოსავალია მურღულის ხეობაში, აჭარაში. შარშანდელ მოუსვლელობისა გამო აჭარაში ხალხს მთავრობისაგან ფული მიეცა სესხად. წელს შარშანდელზე უარესი მოსავალია და ამის გამო მურღულს და აჭარას წელსაც შემწეობა მოუნდება. სხვა ადგილის მოსავალს საერთოდ მთელ ქობულეთის ხეობაში, ლივანაში და შავშეთისაკენაც არ აქებენ. ქობულეთში ავადმყოფობა ამ ზაფხულს ძალიან მოედვა და ყელის-ტკივილმა ბევრი ყმაწვილი იმსხვერპლაო.

ჰ.

მეღიც ერთხელვე შენიშნულია და გაფრთხილებული; რომელიც იუმცა ამ სუთის წლის წინად „ეგზეკუციის" დროს ქურდების დასში ერია და უცხო ქვეყანაში უნდა გადაესახლებინა ქურდობისათვის, მაგრამ სიბრალულის გამო სოფელშივე დატოვეთ იმ პირობით, რომ სოფელში არავითარი აგ-კაცობა არ ჩაედინა. ერომა ამასთანა ვაჟბატონმა ამ ერთის კვირის წინად ჩხუბში ფეხი მოსტეხა გლეხს კარ—შვილს, რომელიც დღეს მძიმედ ავადმყოფი ლოგინში წევს და რომლის მორჩენაც საეჭვოა.

აი ამბები სადისთავისა. მოისმინეთ და დასტკბეთ იქაური გრძნობა ქვეყნის მოყვარეობისა და გულ-შემატკივრობისა. დიდებულო ღმერთო, სულ გაწყდა, გადაშენდა ისეთი კეთილნი ხალხი, რომელთ არსებობა ან ამბად გვსმენია, ან ჩვენ თითონ მოვსწრებივართ უმაწვილობაში! სოფელს ჰყოლია ვინმე თავ-დადებული და სოფლის გულ-შემატკივარი, ღვთიანი კაცი, თუ ქალი, სამღვდელო, თუ ერის კაცი და აი ამ ღვთიანს კაცსა თუ ქალს უკეთებია ბევრი გვარი სასარგებლო სასოფლო საქმე. ერთს ადამიანს ხშირად მოუფენია წერა-კითხვის ცოდნა მთელს დიდს სოფლის მოზარდს თაობაში; ერთს ასეთს დიაკვანს, ან მთავარს, ან მღვდელს სამღვთო წერილის ცოდნა და მისი კითხვის სურვილი გაუღვივებია უმეცარს და უვიცს გლეხ-კაცობაში; ერთს ხელოვანსა და ხელოსანს მანდილოსანს უჩვენებია გვარი ხელ-საქმე, ჭრა-კერვა, ქსოვა და ფეიქრობა და სხვა სასარგებლო ხელობა და საქმიანობა რამდენსამე სოფელში მოუფენია. ეხლა-კი? აღარც წინანდელი შეგვრჩა, ახალიც არა შევიძინეთრა. ბარემ ათი ნასწავლი ქალიც იქნება წელს აქა და არის ეხლაც, მაგრამ ერთს უცოდინარსაც არ უსწავლია იმათგან ანბანა. მაგრამ ეჰ, მასლას, გულს ნუღარ გავიხეთქავთ. ესეც საკმაოა იმათთვის, ვინც კითხვას გულის-ყურს ადევნებს და არა ბურბუშელაობს.

გორელი

სენაკის მაზრა, 25 სექტემბერი. სამეგრელოს ჰყავს ერთი ფრიად სასარგებლო კაცი, რომელიც თავის ცოდნით და მეცადინეობით დიდს შემწეობას აძლევს თავის სამშობლოს ხალხს. ამისთანა კაცი, მგონი, ბევრი არ მოიპოვება ჩვენს დალოცვილ მხარეში და ამიტომ ურიგო არ იქნება, გავაცნო იგი მკითხველებს, მით უმეტესს, რომ ეს იქნება მრავალთა სურვილი და არა მარტო ჩემი. ეს სასარგებლო კაცი გახლავთ ბ-ნი დ—ი, რომელიც სენაკის მაზრაში სცხოვრებს და დიდის გვარიშვილის კაციც არის. ბ-ნს დ—ს უსწავლია მედიცინა იმ ზომამდე, რომ დიდს და ძალიან დიდს შემწეობას აძლევს ყველა იმათ, ვინც მას მიჰმართავს. ვინც უნდა იყოს და სადაური კაციც უნდა იყოს მასთან მისული, იგი სინჯავს ცალკე ამ შემთხვევისათვის დანიშნულს ოთახში და მერე აძლევს შესაბამ რეცეპტს. რასაკვირველია, ყველას უსასყიდლოდ სინჯავს და რეცეპტსაც უწერს. ხან ისეთი დღე იქნება, განსაკუთრებით ზაფხულობით, როდესაც სამეგრელოს ყოველ კუთხიდგან ხალხი მოსულია სამკურნალოდ ნოქალაქევის მადნის წყლებზე, რომ ოცი—ოც-და-ათი კაცი მიეიდეს ამ სასარგებლო კაცთან, დ—ან, საექიმოდ... და ეს ფრიად შესანიშნავი კაცი დაუზარებლად იღებს ყველას და მათთან ატარებს მთელ დღეს. ვთქვათ, ავადმყოფი მასთან მისული რჩევისათვის იმ ზომამდე ღარიბია, რომ არამც თუ იმ დარიგების ასრულება, რომელიც მას მისცეს, არ შეუძლიან თავის სიღარიბის გამო, არამედ იმდენიც არ უჭყავის ჯიბეში, რომ წამლები იყიდოს. ამისთანა ღარიბ ავადმყოფთა თავ-შესაფარია ბ-ნ ნ. დ—ს სახლი. მე თვითონ ვნახე რამდენიმე ავადმყოფი, რომელნიც ახლა სრულიად განთავისუფლებულან თავიანთ სენისაგან, ბ-ნ დ—გან მორჩენილნი, და მათ მიამბეს, რომ ორი წელიწადი ვიწექით ნ—ს სახლში და ყოველივე ხარჯი და წამალი სულ იმისგან გვეძლეოდაო. თითოოროლა ავადმყოფი მუდამ უწევს ბ-ნ ნ—ს თავის სახლში. განსაკუთრებით დიდს შრომაშია ბ-ნი დ—ნი ზაფხულობით, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, რადგანაც დიდ ძალი ხალხი მიდის მასთან როგორც სხვა-და-სხვა სოფლებიდგან, აგრეთვე ნოქალაქევის მადნის წყლებიდგან, რომელიც მოშორებულია სამის ვერსტის მანძილზედ ნ—ს სახლიდამ და არამც თუ აგეთი შრომა არ ეზარება ბ-ნს ნ—ს, პირიქით, მდინარე ტეხურზედ თავის ხარჯით გააკეთებინა ნავი და მენავეები დაქირავებული ჰყავს, რათა ყველას შეეძლოს უსასყიდლოდ გასვლა-გამოსვლა მდინარე ტეხურში. მადნის წყალი-კი ტეხურის მეორე ნაპირზეა ბ-ნ ნ—ს სახლიდგან. ნ—ს თვითონ მონაწილეობა არა აქვს და მაშასადამე არც რაიმე სარგებლობას ღებულობს მადნის წყლების შემოსავლიდამ, რადგანაც მადნის წყალი და იქვე გაშენებული სახლები საკუთრებაა ნოქალაქევში მცხოვრებ დ—ნთა.

აბა, სასარგებლო არა ყოფილა ეს თითით საჩვენებელი კაცი ჩვენს ქვეყანაში (სამეგრელოში) თუ? ამ ჩვენ ცოდვილს დროში ძვირად თუ ვინმე ასე თავი გადასდოს საზოგადოებისათვის და ასეთი ხარჯი გასწიოს მოძმეთა შესაწევნად. თუ ვინმე თავი აიტკივა საზოგადო საქმისათვის, ეს ხომ სიტყვით იქნება და არა საქმით, რასაკვირველია, უმეტესს ნაწილად... ბოდიშს ვიხდი თვით ბ-ნ ნ. დ—თან, რომ საქვეყნოდ ვასახელებ და ვამჟღავნებ იმის ქველსა და სასარგებლო მოქმედებას. იქნება იმას არც-კი სურს, რომ იცოდეს ვინმე მისი კეთილი საქმე...

ნიკო ოზურგელი

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ალაგი მისცეთ თქვენს გაზეთში ამ პატარა შენიშვნას. „ივერიის" მე-197 №-ში წავიკითხე წერილი ვინმე გეურქ დარჩიევისა, რომელიც თავის თავს ჯიმითის მწერლადა რაცხს და ჩემს თქვენდამი მოწერილს ამბავს დავთარიდგან ამოფხეკის და გადასწორების შესახებ მოჩვენებადა სთვლის; გარდა ამისა მთხოვს დავუსახელო, როდის, სად და ვინ ამოფხიკა. ამის პასუხად მოვახსენებ შემდეგს. მე ვფიქრობ, რომ ბ-ნი გეურქ დარჩიევი განგებ თვალებსა ჰხუჭავს და ყურებში ბამბას იცობს, თორემ რა სათქმელია საქვეყნოდ, ვითომც ჯიმითის ხარჯის დავთარიდგან არავის არაფერი არ ამოეფხიკოს და არ გადაესწორებინოს, როდესაც თვითონ ამ სოფლის მამასახლისმა გამოიტანა ეს დავთარი მთელ სოფლის ყრილობაში, სადაც ამავე სოფლის მღვდელიცა ბრძანდებოდა და მთელს ყრილობას თითით უჩვენა თვითოეულდა ამოფხეკილი და გასწორებული ადგილი!.. ისიც კარგად უნდა იცოდეს ბ-ნმა გეურქ დარჩიევმა, როგორ აღელვა ხალხი ამ უწესობამ: გადამსწორებლები რომ იქა ყოფილიყვნენ, შეიძლება მწარედ დასჯილიყვნენ. რა საჭიროა მე დავასახელოთ, ვინ ამოაფხეკინა მწერალს დავთარიდგან ხარჯი, ეს მთელმა სოფელმა კარგად იცის და, მგონი, ბ-ნმა დარჩიევმაც კარგად უნდა იცოდეს. ჰკითხეთ უკანასკნელ ჯიმითელ მეხრეს და ის გეტყვით, სად და როდის ქიფობდნენ ის გმირები!

მე პირადად თქვენზე არაფერი მითქვამს, კითომც გეურქ დარჩიევს ამოეფხიკოს-მეთქი. მე ვთქვი, მწერალს ამოაფხეკინეს-მეთქი და ეს მწერალი გეურქ დარჩიევი იყო, თუ სხვა ვინმე, ეს სულ ერთია საქმისათვის. მე ბ-ნ დარჩიევს არაფერს არ დავუსახელებ. და თუ საქმე იქნება რამე, სადაც რიგია, იქ ყველაფერს მოვიხსენიებ. დასასრულ უნდა მოვახსენო ბ-ნ გეურქ დარჩიევს, რომ იმას ალბათ რაღაც ეწყინა, თორემ მე რომ იმაზე ხმა არ ამომეღო, რა აეცდება! იმის გარდა სხვებიც უფიქრობენ ჯიმითში მწერლობას!

ზიარელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „Новости" ამბობს, რომ ვინც ეხლა შუა ევროპის კავშირი შეადგინა და ამ კავშირს მშვიდობიანობის კავშირი უწოდა, ისინი უფრო ნაკლებ ჰზრუნავენ მშვიდობიანობისათვის და ძალ-მომრეობის პოლიტიკას მისდევენო.

ვინც-კი გაბედნიერდაო, ამბობს გაზეთი, და იმ კავშირში მოჰყვა, ძალიან რიხიანს პოლიტიკას დაადგა; ვინც-კი ამ კავშირის ღირსი არ შეიქმნა, ისინი იძულებულნი არიან მხოლოდ თავის დაცვისათვის იზრუნონ და მტერი მოიგერიონ, თუ ვინიცობაა გაჩნდა საიდგანმე. ამას გარდა ამ უკანასკნელთ ბევრ ნაირი მარცხიც მოსდით და თავის გულის წადილს ვერ ისრულებენ. დანია, ჰოლლანდია, ბელგია, შვეიცარია გაფაციცებით იჭურვებიან და ერთს გაჭირვებაში არიან, რადგან შიშობენ, რომ არსაიდამ არ წამოგვიაროს მტერმა და არ მოგვისპოს ცალკე დამოუკიდებელი არსებობაო. საფრანგეთი ერიდება ომს და ამ მორიდების გამო ბევრსა ჰკარგავს; საკოლონიო პოლიტიკას ყურს ველარ უგდებს, რადგან კარგადა ჰგრძნობს, რომ შეიძლება ყოველი ჩემი ძალა და ღონე თვით ევროპაშივე დამჭირდესო. ასეთს მდგომარეობაშივეა სერბია;

ასე იქცევიან, გაზეთის აზრით, ისინი, ვინც შუა ევროპის კავშირში არ მოჰყვნენ. მაშ როგორ იქცევა გერმანია, იტალია, ავსტრია, ინგლისი, რომელნიც, გაზ. „Новости"-ს აზრით, ერთად შეკავშირებულან და თავიანთ კავშირს მშვიდობიანობის მომასწავებელს კავშირს ეძახიანო? აი ამის პასუხი:

ავსტრიაო,—განაგრძობს გაზეთი,—დღე და დღე უფრო მეტს ძალასა და გავლენას იძენს ბალკანების ნახევარკუნძულზე; ინგლისი—მთელს ხელ-შეუხებელს და ნეიტრალს სახელმწიფოებს ხელსა ჰხვევს და თავის სახელმწიფოს უმატებს; იტალია ხმელთა-შუა ზღვის ბატონობასა ჰლამის.

არ ვიცით, ახალი რა არის ყველა ამაში, რასაც გაზეთი „Новости" გვაუწყებს. იქნება ისა, რომ მოკავშირე სახელმწიფონი ძლიერნი არიან, რადგან კავშირი შეჰკრესო და ძალა აღმართსა ჰხნავსო, მაგრამ ეს ხომ ევროპის პოლიტიკის მიმდინარეობაში დიდის ხნის ამბავია; ან იქნება გაზეთმა ის გვაუწყა, რომ ეს მოკავშირე სახელმწიფონი სიტყვით ამბობენ, მშვიდობიანობა გვინდაო და საქმით-კი პირველნი თავად არღვევენ მშვიდობიანობას თავის რიხისა და მუქარის პოლიტიკითაო. მაგრამ ესეც კარგა ხანია ცნობილია დიპლომატიაში, რომელსაც კარგად აქვს დასწავლული, რომ ენა დიპლომატიას თავის ნამდვილის განზრახვის დასამალავადა აქვს ღვთისაგან მინიჭებული და არა გამოსამჟღავნებლად.

**

რა უფრო ეჭირვება სოფელს, სოფლის მკვიდრთა, რომ მისი ცხოვრება უფრო რიგიანად მოეწყოს? ამაზე ყველა თავისებურს რჩევას იძლევა, ყველა თავისებურს რეცეპტსა სწერს. აი დღეს კიდევ გაზეთი „С.-Пет. Вѣд."-ი შეეხო ამ საგანს.

სოფელს უნდაო,—ამბობს გაზეთი,—მღვდელი, მოსამართლე, მასწავლებელი და ექიმი.

ეს არის, მეტი აღარაფერი?

**

ძალად მაცხოვნობა სწორედ ისეთი უნდა, როგორც ერთს პეტერბურგის გაზეთს დაუწყვია. ამ გაზეთს არც უცვებია, არც უცხელბია, აუღია და დაუბეჭდია ცირკულიარი ლუდხანებისა, ტრაქტირებისა და სხვა დუქნების მიმართ, მოდით ჩემს გაზეთში ჰბეჭდეთ თქვენი განცხადებანი, თუ გინდათ, რომ ხეირი ჰნახოთო. მაგრამ აი თვით ცირკულიარიცა:

1 ოქტომბრიდამ 1887 წ. მავანის რედაქტორობით გამოვა დიდი ყოველდღიური გაზეთი. რადგანაც

1) ეს გაზეთი დაბა და სოფლებში დიდ-ძალს თანამდებობის ხალხს მისდის (3,000-მდე კაცს) და

2) თვით პეტერბურგში უმრავლესობა ხელის-მომწერთა მაღალის შთამომავლობის და დიდის გვარიშვილის ხალხია, რედაქციის კანტორა ამიტომ საჭიროდ სთვლის შეატყობინოს თქვენს მაღაზიას ეს გარემოება, თუ ვინიცობაა მოისურვებთ და თქვენს განცხადებას დაგვაბეჭდვინებთ გაზეთში.

კაი კაცები იქმნებით და გამოიცნობთ, რომელი გაზეთია ეს გაზეთი და ვინ უნდა იყოს იმისი რედაქტორი?

## წვრილი ამბები

— მაროკკოს სულთანი სახადით გამხდარა ავად და უკანასკნელს მდგომარეობაშია თურმე.

— წარსულ აგვისტოს თთვის მიწურულებში მიუნჰენის საბავშო ერთი ცაძი დაუჭერია საქონლისა წიგნებით სავსე. ამ წიგნებს სათაურად ეწერათ თურმე: „ჩემი ლოტარეი". ამ დღეებში ადგილობრივმა სასამართლომ გადასწყვიტა, რომ უნდა დაიჭირონ ეს წიგნები, პატრონს გატანის ნება აღარ მისცეთ, რადგან შიგ მეტად ცუდად არიან გერმანელები მოხსენებულნიო.

— იმპერატორს ვილჰელმს ბისმარკისათვის საჩუქრად გაუგზავნია მეიროფასი შურჭელი, მაგრამ ვიდრე შურჭელი დანიშნულებამდე მისულა, სულ ერთიანად დამსხვრეულა.

— ამას წინად ინგლისში გარდაცვალებულა ექიმი რიჩარდ კვაინი და მთელი თავისი ქონება—750,000 მან. „University college"-სათვის უანდერძებია ახალის ენების და ბუნების-მეტყველების სწავლის გასაუმჯობესებლად და გასაუკეთესებლად.

— ბერლინში ამ ორის წლის წინად მოჰკლეს რუმპფის პოლიციის უფროსი. მაშინ ამ მკვლელობისათვის ვიღაც ბ-ნი ლისკე დაიჭირეს, როგორადაც დაუმტკიცეს ჩადენილი აგ-კაცობა და სიკვდილით დასაჯეს, თუმცა ბრალდებული უკანასკნელს სათამდე სულ იმასა ჰფიცავდა, რომ უ.. ლო ვარ და ამ ბოროტ-მოქმედებაში არავითარიმე მონაწილეობა არ მიმიღიაო. როგორც სამხრეთ-გერმანიის გაზეთები ამბობენ, ეხლა დაუჭერიათ პოლიციის უფროსის ნამდვილი მკვლელი.

— თეატრების ხშირად დაწვამ დიდად შეაშინა ხალხი, ასე რომ ეხლა უბრალო ანთებული წუმწუმი რომ დაინახონ, მაშინვე გარედ გამორბიან და ცდილობენ თავს უშველონ როგორმე. მაგალითებრ, ამას წინად გოქსტონის თეატრში შემდეგი ამბავი მოხდარა. ანტრაქტის გათავებისას ერთს მაყურებელს ჩიბუხი დაუბერტყია, ნაცრიანი ჯიბეში და თეატრში შესულა. ხოლო ჩიბუხი კარგად არა ყოფილა დაბერტყილი, განაღვებულა შიგ ცეცხლი, ჯიბე გამოუწვავს და დარბაზში ტრუსის სუნი დამდგარა. მაყურებელთ გაუგიათ ეს ტრუსის სუნი, წამომხტარან ფეხზე, ვიღასაც დაუყვირნია „ცეცხლიო!" და მისწოლიან ერთმანერთსა კარში გასასვლელად. ამ ჭყლეტასა და მიწოლ-მოწოლაში ბევრი ძირს დაცემულა, ფეხ-ქვეშ გაუტანიათ, დაუსახიჩრებულან, ვიდრე რეჟისორს არ დაუმშვიდებია და არ დაუწყნარებია ხალხი როგორმე.

— ვისბადენში ოლქის სასამართლოს ერთის ფოსტის მოხელისათვის ერთის თთვით ციხეში დამპატიმრება გადაუწყვეტია იმის გამო, რომ წერილი პირდაპირ ხელში არ გადასცა და კარებს ქვეშ შეუგდო იმას, ვისთანაც მაწერილი იყოვო. წერილში სასამართლოს უწყება იყო და საქმის გარჩევაზედ იბარებდნენ თურმე წერილის მიმღებს. წერილის მიმღები სახლში არა ყოფილა და ამიტომ სასამართლოშიაც არ გამოცხადებულა დანიშნულს დროზედ. პროკურორი თხოულობდა თურმე, რომ ფოსტის მოხელეს—წერილების დამტარებელს ორის თთვით უნდა გადაუწყვიტოთ დაპატიმრება ციხეში და არა ერთის თთვითაო.

— ოფენბახში ამას წინად შემდეგი ამბავი მომხდარა. სასამართლოს გაუსამართლებია საქმე ერთის ქალისა, რომელსაც ის ედებოდა ბრალად თურმე, რომ დაუჭერია ერთი ადამიანი და ეს ადამიანი ამ ჭრილობას მოუკლავსო. სასამართლოს განაჩენი დაუდგენია და წელიწად ნახევარი ციხეში დამპატიმრება გადაუწყვეტია ქალისათვის. ქალს ისე სცემია გულზე ეს განაჩენი, რომ მივარდნილა მოსამართლის სტოლს, სადაც ნივთიერი საბუთები ეწყო თურმე და სხვათა ნივთიერ საბუთთა შორის ხანჯალიც იდვა, უტაცნია ხელი ხანჯლისათვის და სასიკვდილოდ დაუჭრია თავი სწორს აგავს მკერდში.

— ერთს საწყალსა და ღარიბს ს რ. ჩს ტერში, გვარად პოპლხას, ამას წინად ბიძა მოჰკვდომია ამერიკაში და 40 მილიონი სამკვიდრო დარჩენია. ამ დღეებში ეს გამდიდრებული გლახაკი სოციალისტების კრებას დასწრებია პარიჟში და უმეტესი თავის სამკვიდროსი ამ საზოგადოების დედა-აზრთა სისრულეში მოსაყვანად გადაუდვია; ამასთან გამოუცხადებია: მე მსურს, რომ ადრინდელებრ სოციალისტად დავრჩეო.

## გასართობი

გინდა, მკითხველო, ას წლამდე იცოცხლო?—თუ გინდა, მაშ აბა ყური დაუგდე ამ ამბავს და იქნება წამლად გამოგადგეს. წარსულ სექტემბრის 2-ს ას ერთი წელიწადი შეუსრულდა სწორედ საფრანგეთის გამოჩენილს მეცნიერს შევრელს. თუმცა ასეთი ხნიერია პატივცემული მეცნიერი, მაინც მეტად ჯან-საღად არის თურმე და არაფერს იტკივებს. წარსულს წელს რამდენჯერმე გაცივებულა, მაგრამ მეორე-მესამე დღეზედ ოფლი უდენია და ისევ-ისევე კარგად გამხდარა. დღეში ორჯელა სჭამს შევრელი პურსა: სადილობს და საუზმობს; შევრელი ყოველთვის სადილად ორს თავს საჭმელს აკეთებინებს: წვენსა და შემწვარს. საუზმის შემდეგ ერთს ფინჯანს ყავასა სვამს, სადილს შემდეგ—ერთს ფინჯანს რძესა. თუ გარედ ცუდი ტაროსია, შინა ზის და ხან კითხვაშია გართული, ხან კიდევ სინჯავს თავის ძველ თხზულებათა და ხელ-ნაწერთა. შევრელი ამბობს, რომ უსაქმურად ყოფნა არ შემიძლიან, ერთს დღეს ვერ გავძლებ ცუდად, რომ არა გავაკეთო-რამე. ამას წინად შევრელს ერთის გაზეთის კორრესპონდენტისათვის უთქვამს სიცილით: „ვისაც უნდა ას წლამდე იცოცხლოს და ჩემსავით ჯან-საღი და ჯან-მრთელი იყოს, ამისი ერთად-ერთი წამალი შრომაა, ჯაფის გაწევა და სხვა არა-რაო“. ვგონებთ, რომ ჩვენში ბევრია არ იხელმძღვანელებს ამ რჩევით, მით უფრო, რომ ისე უყვართ ამ დალოცვილებს უქმად ჯდომა, უქმად ყოფნა, უქმად ხეტიალი და უქმად ცხოვრება.

**

ზოგიერთ ჯიშის ძაღლებს შორის ბევრი თურმე ბეცი ძაღლია. ბევრია მონადირე ძაღლი ბეცი და ამ სენის გამო ნადირობის დროს სრულიად გამოუყენებელი ხდება. ინგლისში შემოუღიათ და ეხლა კარგი მონადირე ბეც ძაღლებს სათვალეებს უკეთებენ თურმე. სათვალეები ძაღლს საყელოზედა აქვს მიმაგრებული. ამ ძაღლის სათვალეების მომგონს მთავრობისათვის 50,000 მან. მიუცია და პირობა ჩამოურთმევია, რომ ჩემს მეტს ბეც ძაღლებისათვის არავისა ჰქონდეს სათვალების კეთების ნებაო. ამ საქმეში ძალიან უხეირნია და სამს კვირაში იმდენი სათვალეები გაუკეთებია ბეც ძაღლებისათვის, რომ თავისი 50,000 მანეთი ამოუგია. თითო წყვილს სათვალეს თავის საყელოთი თითო თუმნადა ჰყიდის თურმე.

**

### პროზა და პოეზია

— რა განსხვავებაა პროზასა და პოეზიას შორის?

— განსხვავება სიტყვებშია; იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი ამბავი როგორ არის დაწერილი და რა სიტყვებით არის გამოთქმული.

— მაგალითებრ?

— აი, მაგალითებრ, პროზის დამწერმა რომ სთქვას: „ცოფიანმა ძაღლმა გამვლელს ხელში უკბინაო“, ამას პოეტი უეჭველად ასე დასწერდა: „ოთხ-ფეხი მეგობარი ადამიანისა ავს გუნებაზე იყო და სიკვდილიშვილის ხელს კბილებით შეეხოო“.

## დეპეშა

30 სექტემბერი

პეტერბურგი. სისხლის სასამართლოს საკასაციო დეპარტამენტმა სენატისამ განიხილა მოსკოველ ვაჭრის, უცხოელ ს შპერლინგის საჩივარი მოსკოვის სამოსამართლო პალატის განაჩენის თაობაზე. პალატამ გადუწყვიტა შპერლინგს 500 მან. ჯარიმა, რადგან შპერლინგი თავის კანტორაში ფულს იღებდა სიცოცხლის დასაზღვევად ლეიპციგის სიცოცხლის დამზღვევ საზოგადოებაში. ამას გარდა პალატამ გადასწყვიტა, რომ შპერლინგს გაეუქმებინა თავისი კანტორა. აი ამ განაჩენის გამო ჩიოდა შპერლინგი. საკასაციო დეპარტამენტმა გადასწყვიტა, რომ ისეთი სააგენტო კანტორები, როგორიც შპერლინგს ჰქონია, რუსეთში ნება-დართული არ არის, თუ კანტორის პატრონს წარდგენილი არა აქვს ხაზინაში ბედ 500,000 მანათიო.

1 ოქტომბერი

პეტერბურგი. ცალკე ნომრობით სყიდვა გაზ. „Минута“-სი და „Сынъ Отечества“-სი აღკრძალულ იქმნა.

პარიჟი. სამხედრო კომისიამ, კოფორელის საქმის გამოსაძიებლად დანიშნულმა, ერთ-ხმად გარდასწყვიტა: დათხოვნილ იქმნას გენერალი კოფორელი სამსახურიდამ სამხედრო პატიოსნების საწინააღმდეგო საქციელისათვისაო.

ლონდონი. ტრაფალგარსკვერში კრება მოხდა იმ მუშებისა, რომელნიც უსაქმურად დარჩნენ. კრების შემდეგ მუშები გლოვის ბაირაღით გაემართნენ სიტისაკენ. უწესოება არა მომხდარა-რა.

2 ოქტომბერი

პეტერბურგი „Journal de St.-Petersbourg“-ი ამბობს, რომ დიდი ტყუილია საფრანგეთის ზოგიერთ გაზეთების მიერ გავრცელებული ამბავი, ვითომც ერთ-ერთს წევრს იმპერატორის სახლობისას ეთქვას ერთ გვარი სადღეგრძელო საფრანგეთის გემზე, რომლითაც უმაღლესი მგზავრი დაბრუნდა ამერიკიდამაო.

რიგა. დღეს აქა დღესასწაულობენ 25 წლის არსებობას რიგის პოლიტეხნიკუმისას. გუშინ ამის გამო ჩირაღდნებით სეირნობა იყო დიდის ამბითა. პოლიტეხნიკუმში 798 სტუდენტი სწავლობს.

პარიჟი. სამხედრო მინისტრმა მოჰკითხა გენერალ ბულანჟეს—მართალს ამბობენ თუ არა ზოგიერთი გაზეთები, რომლების სიტყვითაც ვითომც გეთქვათ, რომ მე თქვენ მახეს გიგებდეთ. ბულანჟემ უპასუხა, რომ ის გაზეთები არ წამიკითხავსო. მინისტრმა საკმარისად არა სცნო ეს პასუხი და მოსთხოვა გადაჭრილი სიტყვა. უკეთუ ბულანჟე კიდევ ცალ-უბად გასცემს პასუხს, მინისტრსა სწადიან ჩააგდოს ბულანჟე დისციპლინურ პასუხის-გებაში.

გაზ. „Temps“-ი ამბობს: ჭორია, ვითომც რუსეთსა და საფრანგეთს განეზრახოთ მოიწვიონ ევროპიული კონფერენცია ბოლგარეთის საქმის გადასაწყვეტად.

მაროკკოდამ მოსულ ამბების თანხმად, სულთანი უკეთ არის და ნახულობს ხალხსაო.

პარიჟი. ბულანჟემ უპასუხა ფერრონს, რომ მართალია, ვთქვი, რასაც გაზეთები მაწერავენ თქვენ შესახებაო.

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7395.
ძველი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 1876 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

ოქტომბერი 31 დღით არის

**3 დღე შაბათი.** წმ. დიონოს არეოპაგელისა და ღირსის იოანე ხოზეველისა. სომეხ. წმ. 72 მოწაფეთა ქრისტეს. მუსულ. მე-28 რიცხვი თთვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—12, ჩადის 5—18. მთვარე 29 დღისაა.

**4 დღე კვირა.** მოწ. იეროთეოსი. კათოლ. დღესასწაული წმ. როზარიასი, წმ. ქალწულის მარიამისა და წმ. ალმს. ფრანცისკესი. მუსულ. მე-29 რიცხვი თთვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—13, ჩადის 5—17. მთვარე 30 დღისაა.

**5 დღე ორშაბათი.** ქალწ.-მოწ. ხარიტონისა, ღირსისა გრიგოლ ხანძთელისა. კათოლ. ღვთის მსახურება ყველა ანგელოზებისა. სომეხ. წმ. ფოკასი და ერანისა. მუსულ. მე-30 რიცხვი თთვის მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 5—45, ჩადის 5—16. დაბადება მთვარისა 1 საათსა და 39 წუთზედ.

### ვამოსადევი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გ. ო. | 5 კაპ. | |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | › |
| › 2 › | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა | 4 | › |
| მე-3 — | › | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი | 13 | › |
| ცხვრის ხორცი | 7 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. როგი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აჭირო ფოთიდამაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სახნავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

### ტფილისის საქალაქო გამგეობისაგან.

**ტფილისის საქალაქო გამგეობა** ამით აუწყებს ტრაქტირებისა, სასმელ-საჭმლის დუქნებისა და მგზავრთა ჩამოსახდომ ბინების პატრონებს ტფილისის ქალაქისას, რომ იგინი მოვალენი არიან ტრაქტირის მგზავსის დუქნების დებულების მე-17 § თანხმად აიღონ ამ ოქტომბრის განმავლობაში ტფილისის საქალაქო გამგეობისაგან იება-დართვის მოწმობანი ზემოხსენებულის გვარის დუქნების გამართვისათვის 1888 წელსა. ვინც ასე არ მოიქცევა და ისე გამართავს დუქანს და უმოწმოდ დაიწყობს ვაჭრობასა, იმას დუქანი დაეკეტება მომავალის წლის 1 იანვრიდამ, იმავე დებულების მე-18 § თანხმად. (1—1)

**ტფილისის საქალაქო გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 13 ოქტომბერს 1887 წელს საჯარო ვაჭრობით (ტორგი) გაისყიდება 12 ნაჭერი ცარიელი მიწა ქალაქისა. ეს მიწები ავჭალის ქუჩის იქით არის და თითო 100-დამ 213-მდე ოთხ-კუთხი საჟენი იქნება. ვაჭრობა დაიწყობა შუა დღისას, 12 საათზედ, იქვე, სადაც მიწებია. ვინც ვაჭრობაში შევა და დაინარჩუნებს მამულს, იმან უნდა შეიტანოს ათის თავი იმ ფულისა, რა ფულშიაც დარჩება მამული. შემდეგ ყველა საბუთი მამულის საკუთრად შეძენისა მიეცემა ქალაქის საბჭოს მიერ მსყიდველს მაშინ, როცა საბჭო დაამტკიცებს ვაჭრობასა. (1—1)

### ნაფიცი ვექილი
### სერგეი ვასილისძე ჩემესოვი

გადავიდა არსენალის ქუჩაზედ, გერბუნოვის სახლებში, მე-66 №-ში, ძველის კრუჟოკის უკან. (6—3)

### ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: **ტფილისში** ჩარკვიანთან, სემინარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე; გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდის ყურთან, და **ქუთაისში** ქილაძესთან.

ას ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

## დასტურლამალი

მეფის ვახტანგ მეექვსისა

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემლისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასაგზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

ქართული სალმრთო წიგნთ-საკითხავი, რომელიც იმყოფება ბაზრის ქუჩაზე, იარმუკის ბოლოში, მე-14 №-ში, ღიაა ყოველ-დღე ნაშუადღევის 4 საათიდამ 9 საათამდე. წიგნთ-საკითხავში შესვლა და წიგნების იქვე კითხვა, თუ გარედ წაღება, შეუძლიან ყველა წოდების კაცს. წიგნს კითხვისათვის არავის არავითარი ფასი არ გამოერთმევა.

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა, ვახტანგ მეექვსისა | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუე, საბა-სულხან ორბელიანისა | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა | › | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | › | 1 |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. | › | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. | › | 25 |
| განკიცხული, მოხხუპარიძისა | › | 50 |
| ციკო, მისივე. | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. | › | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. | › | 51 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. | › | |
| წითელი ფარანი, თარგმანი. | › | 15 |
| ზაფხული, ჯუღელის რედაქციით. | › | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი | › | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი. | › | 15 |
| ქართული ანდაზები. | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა | › | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა | › | 5 |
| ალი, ნ. ლომოურისა | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, მ. მაჩაბელისა. | › | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა | › | 40 |
| სტეფანსონი, ბარბარე თუმანიშვილისა | › | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა | 1 | › |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა | › | 30 |

ახლად შეძენილია და ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლში (Дворцовая ул., домъ Сараджева) შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა | „ | 30 |
| ბუნების კარი, მისივე | „ | 75 |
| კოკორი, მისივე | „ | 10 |
| კონა, მისივე | „ | 50 |
| ხომლი, მისივე | „ | 30 |
| კუნწულა, მისივე | „ | 40 |
| ლედანი, მისივე | „ | 30 |
| შოლეას თავ-გარდასავალი, გ. დ. ცაგარლისა. | „ | 20 |

Доз. цен. Тиф. 2 октября 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) на Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე